



## საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ოქმი №, „5“ „22“ „მარტი“, 2022 წელი

სამსახურის უფროსი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №. 13 , „25“ „მარტი“, 2022 წელი

ფაკულტეტის დეკანი /პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი/

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე

ოქმი №. 14 „28“ „მარტი“, 2022 წელი

რექტორი /დოქტ. საფფეთ ბაირაქეთუანი/

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალმცოდნეობა

თბილისი

2022 წელი



## საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალმცოდნეობა/**LAW**

ფაკულტეტი: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: ქეთევან ქოქრაშვილი, აფილირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ტელ.: 591 191719, ელ.

ფოსტა: [Kkokrashvili@ibsu.edu.ge](mailto:Kkokrashvili@ibsu.edu.ge), [lawfaculty@ibsu.edu.ge](mailto:lawfaculty@ibsu.edu.ge)

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0421 სამართალი/**LAW**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

კვალიფიკაციის კოდი: **0421.1.1**

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **240**

## საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სტრუქტურა:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების (10 ECTS), ძირითადი სპეციალობის კომპონენტს (210 ECTS) და თავისუფალი კომპონენტისგან (20 ECTS).

ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. ზოგადსავალდებულო სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა წერიითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის კომპონენტი მოიცავს: სპეციალობის სავალდებულო კომპონენტს (165 ECTS) და სპეციალობის არჩევით კომპონენტს (45 ECTS). სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი თავის მხრივ მოიცავს:

- დარგობრივი ინგლისური ენის კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს (10 ECTS);
- სპეციალობის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსებს (15 ECTS);
- საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს (45 ECTS);
- კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს (50 ECTS);
- სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს (25 ECTS);
- ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს (20 ECTS).

სპეციალობის არჩევითი კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების

## საგანმანათლებლო პროგრამა

კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში ანდა განიმტკიცოს პრაქტიკული ან კვლევითი უნარები. სპეციალობის არჩევით კომპონენტის ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 45 კრედიტი (შეთავაზებული 59 კრედიტიდან).

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აბიტურიენტისთვის მესამე სავალდებულო-არჩევით საგანად განსაზღვრულია გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში ან სამოქალაქო განათლებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

## საგანმანათლებლო პროგრამა

- შესძინოს სიღრმისეული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, რომის სამართლის წყაროებისა და ძირითადი ინსტიტუტების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების, მათ შორის სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზების, ძირითადი მახასიათებლებისა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზების თაობაზე;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამის გზების შემუშავების, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერიტი ფორმით საკუთარი პოზიციების/დასკვნების დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო და სამართალშეფარდებითი აქტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელებისა და სხვა იურიდიული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივი დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სამართლებრივი დავის გადაწყვეტის გზების შემუშავების, ასევე დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით საკუთარი პოზიციების დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვითა და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- გამოუმუშავოს საჭირო ინფორმაციის, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.



## საგანმანათლებლო პროგრამა

### სწავლის შედეგები:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><b>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</b></p> <p><b>1. აღწერს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს; განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე რომის სამართლის წყაროებსა და ძირითად ინსტიტუტებს;</li> <li>• სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ეროვნული მოდელის თავისებურებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს; განსაზღვრავს საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;</li> <li>• კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, სანივთო სამართლის სისტემას, პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის მიზნებს, ამოცანებს, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი</li> </ul>
-------------------------------------	--

## საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>ურთიერთობების თავისებურებებს, შრომის სამართლის წყაროებს, შრომითი ურთიერთობის პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო დავების წარმოშობის მიზეზებს სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს, საკორპორაციო სამართლის სისტემას და წყაროებს, ქართული საკორპორაციო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დანაშაულის არსს, სახეებს, სასჯელის სისტემას; განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;</li> <li>• საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს; განსაზღვრავს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს, სისტემას, წყაროებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციებს;</li> <li>• იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) პროფესიული საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს.</li> </ul>
<p><b>უნარი</b></p>	<p><b>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>2. ამოიცნობს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უახლესი სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;</li> <li>3. იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, ზეპირი და წერიტი ფორმით;</li> <li>4. შეიმუშავებს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს;</li> </ol>



## საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>5. შეიმუშავენ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</p> <p>6. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს, აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებებს და წყვეტს სხვა იურიდიულ ამოცანებს; მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს.</p> <p>7. შეიმუშავენ სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სამართლებრივი დავის/საქმის გადაწყვეტის გზებს, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს, დავის/საქმის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.</p>
<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<p><b>სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</b></p> <p>8. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებების, სამართლებრივი ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;</p> <p>9. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.</p>

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:**

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9
1	✓								
2		✓	✓						
3				✓	✓				



## საგანმანათლებლო პროგრამა

4						✓			
5							✓		
6								✓	
7									✓

სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი							პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	
<b>ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები</b>										
ინფორმაციული ტექნოლოგიები					X					
წერითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარები					X					
<b>ინგლისური ენის კომპონენტი</b>										
დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B1)					X					
დარგობრივი ინგლისური ენა -სამართალი (B2)					X					
<b>საბაზისო სასწავლო კურსები</b>										
შესავალი სამართალმცოდნეობაში	X				X					
ქართული სამართლის ისტორია	X				X					
რომის სამართლის საფუძვლები	X				X					



## საგანმანათლებლო პროგრამა

<b>საჯარო სამართლის მოდული</b>									
შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	X	X	X		X	X			X
საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	X	X	X		X	X			X
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	X	X	X		X	X			X
ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა)	X	X	X		X	X			X
ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება)	X	X	X	X		X		X	X
საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X	X		X	X			X
ევროკავშირის სამართალი	X	X	X		X	X			X
საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	X	X	X	X		X	X	X	X
ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	X	X	X	X		X	X	X	X
<b>კერძო სამართლის მოდული</b>									
შესავალი სამოქალაქო სამართალში	X	X	X		X	X			X
სანივთო სამართალი	X	X	X		X	X			X
ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	X	X	X		X	X			X
სახელმწიფო სამართალი	X	X	X	X	X	X			X
კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	X	X	X		X	X			X
სამოქალაქო საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X	X	X	X
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	X	X	X	X	X	X			X
შრომის სამართალი	X	X	X	X	X	X			X
სამოქალაქო საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)	X	X	X	X		X	X	X	X
საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X	X	X			X
<b>სისხლის სამართლის მოდული</b>									



## საგანმანათლებლო პროგრამა

სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X		X	X			X
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	X	X	X		X	X			X
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)	X	X	X		X	X			X
სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X	X	X	X
სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)	X	X	X	X		X	X	X	X
<b>ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი კომპონენტი</b>									
იურიდიულ პროფესიათა ეტიკა	X	X	X	X	X	X	X	X	X
პრაქტიკუმი საჯარო სამართალში	X	X	X	X	X	X	X	X	X
პრაქტიკუმი კერძო სამართალში	X	X	X	X	X	X	X	X	X
პრაქტიკუმი სისხლის სამართალში	X	X	X	X	X	X	X	X	X

I – გაცნობა	D - გაღრმავება	M- განმტკიცება

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების

## საგანმანათლებლო პროგრამა

მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს, მათ შორის:

**დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესში სტუდენტებს უვითარდებათ არგუმენტების წარმოდგენის და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. ამასთანავე, დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კრიტიკული კომენტარების და შენიშვნების მიღების, აგრეთვე სტრესულ სიტუაციაში მათზე რეაგირების უნარს.

**თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება** - სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სხვადასხვა ტიპის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ შედეგებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული

## საგანმანათლებლო პროგრამა

ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადაწაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**დემონსტრირება** - სწავლების მეთოდი, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ახსნა-განმარტება** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორი და სტუდენტები დეტალურად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით. ამ მეთოდს აქვს ორმაგი ეფექტი - სტუდენტებს განემარტებათ კომპლექსური საკითხები, ხოლო ლექტორს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს, რამდენად მიიღწევა საკითხების სრული გაცნობიერება;

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ეს მათ ეხმარება სასწავლო კურსისთვის საჭირო თეორიული საფუძვლების ფორმირებაში.

**დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი** - ინდუქციური მეთოდი გულისხმობს კერძო მაგალითებზე დაყრდნობით ინფორმაციის განზოგადების პროცესს, ხოლო დედუქცია ზოგად ინფორმაციაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნას უწყობს ხელს - მსჯელობა მიმდინარეობს ზოგადიდან კერძო მიმართულებით. ანალიზი გვეხმარება მთლიანი მასალა დავყოთ შემადგენელ ნაწილებად, რაც ამარტივებს საკითხის ირგვლივ ცალკეული დეტალების განხილვის პროცესს. მეორეს მხრივ, სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების ერთ მთლიან საკითხად გაერთიანებას. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს ეხმარება პრობლემა მთლიანობაში აღიქვან.

**გონებრივი იერიში** - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

**შემთხვევების ანალიზი (Case study)** - ეს მეთოდი გულისხმობს, რომ სტუდენტებმა გააანალიზონ კონკრეტული სიტუაცია/მოცემულობა, მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება, გამიჯნონ/სამართლებრივად შეაფასონ ფაქტობრივი გარემოებები და ჩამოაყალიბონ საბოლოო დასკვნა.

## საგანმანათლებლო პროგრამა

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ეს მეთოდი პრობლემას იყენებს, როგორც ცოდნის მოპოვების პირველწყაროს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირებას. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან მუშაობენ წყვილებად ან ჯგუფებად (ერთობლივი-თანამშრომლობითი მუშაობა) პრაქტიკული დავალებების ამოსახსნელად.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს აკავშირებს და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერილით გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია,

## საგანმანათლებლო პროგრამა

პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

## საგანმანათლებლო პროგრამა

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

### ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

### სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

საბაკალავრო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა



## საგანმანათლებლო პროგრამა

ორიენტირებული და ემყარება სწავლება-სწავლის პროცესის და სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე მიდგომებს.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, განხორციელებასა და სწავლის შედეგების შეფასებას, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. 1 კრედიტი - 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე და მოუკიდებელ მუშაობას. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სასწავლო სემესტრს ანუ 4 წელს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, თავისუფალი კომპონენტის (20 კრედიტი) ფარგლებში, უფლება აქვს როგორც უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი. ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს თავისუფალი კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა შეავსოს სპეციალობის არჩევითი კომპონენტის სასწავლო კურსების ხარჯზე.

სპეციალობისათვის რელევანტური ინგლისური ენის კომპონენტზე დაშვების წინაპირობას ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე წარმოადგენს, რაც შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით დასტურდება. თუ სტუდენტი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების შედეგად ვერ დაადასტურებს ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონეს, მისთვის, თავისუფალი კომპონენტის კრედიტების ფარგლებში, სავალდებულოა ზოგადი ინგლისური ენის

## საგანმანათლებლო პროგრამა

შესაბამისი დონის სასწავლო კურსების არჩევა სპეციალობისათვის რელევანტური დარგობრივი ინგლისური ენის კომპონენტზე დაშვების მიზნით. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის B1 დონის ან უფრო მაღალი დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (**TOEFL IBT, IELTS, FCE, CERTUS**) ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი), თავისუფლდება შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისგან.

### დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებში;
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, მათ შორის საერთაშორისო და უფლებადამცავ ორგანიზაციებში;

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს საადვოკატო, სანოტარო ან

## საგანმანათლებლო პროგრამა

საარბიტრაჟო საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული უმაღლესი სტანდარტის მატერიალურ რესურსთა ბაზა უზრუნველყოფს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სასწავლო ინსტრუმენტების ძირითადი ნაკრებით (კომპიუტერები, პროექტორები, საპროექციო ეკრანები, სხვა სასწავლო ინვენტარი) აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- საჯარო ლექციების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა მოცულობის საკონფერენციო დარბაზები;
- სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარების მიზნით მოწყობილი იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი;

## საგანმანათლებლო პროგრამა

- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტთან წვდომით (Wi-Fi და საკაბელო), წიგნებისა და ჟურნალების მდიდარი არჩევანით, აგრეთვე ელექტრონული კატალოგით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ტექნიკითა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები და სხვა.

სტუდენტებისა და სასწავლო პერსონალისათვის შეზღუდვების გარეშე ასევე ხელმისაწვდომია საკაბელო ინტერნეტი, უფასო Wi-Fi, ასევე EBSCO-ს სამიუზიუმო სისტემა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა ელექტრონული შეტყობინების სისტემა (SMART IBSU), რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებების, საჯარო ლექციების, ახალი პროექტების, ფაკულტეტის სიახლეების, სტუდენტური საქმეებისა და კლუბებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სტუდენტების პორტალი (სმარტი) ასევე წარმოადგენს ლექტორს და სტუდენტს შორის კომუნიკაციის ფორმალურ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ სასწავლო მასალები, ინფორმაცია სასწავლო განრიგში შეტანილი ცვლილებების შესახებ და სხვა;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაცემთა ბაზის (SIS) სტუდენტის ინდივიდუალური გვერდის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს სემესტრული რეგისტრაცია, აირჩიოს სასურველი სასწავლო კურსები, გაეცნოს ნიშნების ფურცელს და შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესი.

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, ინტერნეტ-რესურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო-მეთოდურ მასალას, რომლის შევსება-განახლება ხდება ყოველწლიურად.

## საგანმანათლებლო პროგრამა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის შემდეგი ელექტრონული ბაზების ავტორიზებული მომხმარებელი:

- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
- e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>)
- European Respiratory Journal (<https://erj.ersjournals.com/>)
- IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>)
- Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/>)
- Openedition Journals (<https://www.openedition.org/>)
- Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)
- SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>)
- The Company of Biologists' Journals (<https://www.biologists.com/development/>)
- Heinonline Core (<https://heinonline.org/HOL/Welcome> )
- ScienceDirect® (<https://www.sciencedirect.com/> )
- Scopus (<https://www.scopus.com/search/form.uri?display=basic#basic>)
- Funding Institutional (<https://www.fundinginstitutional.com/>)

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის დანართში და შესაბამისი



## საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კ რ ე დ ი ტ ე ბ ი ს ა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება						საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში			
				I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო					
				ს ე მ ე ს ტ რ ი I	ს ე მ ე ს ტ რ ი II	ს ე მ ე ს ტ რ ი I	ს ე მ ე ს ტ რ ი II	ს ე მ ე ს ტ რ ი I	ს ე მ ე ს ტ რ ი II	ს ე მ ე ს ტ რ ი I	ს ე მ ე ს ტ რ ი II	შ ე ს ტ რ ი I	შ ე ს ტ რ ი II		შ ე ს ტ რ ი III	შ ე ს ტ რ ი IV	შ ე ს ტ რ ი V
				I	II	I	II	V	V	V	V	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შესტრები	საკონტაქტო	დასრულებულია	ჯამებულია	

## საგანმანათლებლო პროგრამა

I	ზოგადსავალდებულო სასწავლო კურსები		10								42	42	4	5	93	157	250	
1.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5							14	29	2	2	47	78	125	3
2.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარები	სავალდებულო	5	5							28	13	2	3	46	79	125	3
II	ძირითადი სპეციალობის კომპონენტი																	
2.1	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი		165								81	603	87	97	157	2551	362	
2.1.1.	ინგლისური ენის კომპონენტი		10															
1.	დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B1)	სავალდებულო	5	5							30	28	2	2	62	63	125	4
2.	დარგობრივი ინგლისური ენა - სამართალი (B2)	სავალდებულო	5		5						27	31	2	2	62	63	125	4
2.1.2.	საბაზისო სასწავლო კურსები		15															
1.	შესავალი სამართალმცოდნეობაში	სავალდებულო	5	5							26	15	2	3	46	79	125	3
2.	ქართული სამართლის ისტორია	სავალდებულო	5	5							26	15	2	3	46	79	125	3
3.	რომის სამართლის საფუძვლები	სავალდებულო	5		5						26	15	2	3	46	79	125	3
2.1.3.	საჯარო სამართლის მოდული		45															
1.	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	სავალდებულო	5	5							26	15	2	3	46	79	125	3
2.	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	სავალდებულო	5		5						26	15	2	3	46	79	125	3
3.	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	სავალდებულო	5			5					14	27	3	3	47	78	125	3
4.	ადმინისტრაციული სამართალი (საჯარო მმართველობა)	სავალდებულო	5			5					26	15	3	3	47	78	125	3
5.	ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული წარმოება)	სავალდებულო	5				5				26	15	3	3	47	78	125	3

## საგანმანათლებლო პროგრამა

6.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	სავალდებულო	5				5					26	15	3	3	47	78	125	3
7.	ევროკავშირის სამართალი	სავალდებულო	5				5					26	15	3	3	47	78	125	3
